



ნახ. ი. თბილისა.


ს ი ა ნ ბ ი

ოქის გაძიებალთა შავუოთაბა

— არ გახსოვთ, უინსტონ, ჩვენი სიჭაბუკე! ჩვენ მუდამ
და ცეცხლის მოყვარულნი ვიყავით და ვართ, ესენი
მშვიდობას მოითხოვენ! არა, ეს არ არის ჩვენი დროის
ღვაწი!

— ვაი, რომ ისინი სწორედ ამას ამტკიცებენ, სერ...





ნახ. გ. ლომიძისა

მუდმივ მარცხის გასარკვევად არ გვეჭირდება სიტყვა ვრცელი, — რადგან თავის კირს ყოველთვის ფვითონ ამხელს სავარძელი. ვინც კი დასვეს პრემიერად, ზედ ვერ შეიმავრა წელი... არა, ახეთ სავარძელზე არ დაჯდება კაცი ბრძენი.

შვეიცარიულმა გაზეთმა „ნუველ რევიუ დე ლოზანმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც იტყობინება ჩვილი ბავშვებით ვაქრობის შესახებ საფრანგეთში, ინგლისსა და შვედეთებულ შტატებში.

ყიდვა-გაყიდვა წარმოებს ღარიბ, მრავალშვილიან მშობლებსა და უშვილო მოქალაქეთა შორის, სპეციალისტ შუამავალთა დახმარებით, რომლებიც ამ საქმიდან დიდ მოგებას ლეზულობენ.

კერძო კლინიკებს შავ ბაზარზე გამოჰყავთ ბავშვები და ჰყიდიან 1500–2000 შვეიცარიულ ფრანკად. ინგლისში, მაგალითად, შავ ბაზარზე ჩვილი გოგონა ფასობს 1500 ფრანკად, ბიჭი კი — 1000 ფრანკად.

ჩვენს მკითხველებს ამ უცნაურ ვაქრობასთან ერთად ისიც უსათუოდ გააკვირვებს, რომ ბიჭების ფასი ასე მკვეთრად დაცემულა ინგლისურ შავ ბაზარზე. მაგრამ გასაკვირი არაფერია, თუ გაიხსენებენ, რომ უკვე გაზრდილ, დავაჯაკებულ ჭაბუკებს ლეიბორისტი ბატონები საზარბაზნე ხორცად სულ რაღაც ჩალის ფასად ყიდიან...

მეგობრული შიში

ფრანგი რეაქციონერები დღედაღამ გაჰყვირიან საფრანგეთ-ამერიკის „მეგობრობის“ შესახებ. მარშალის გეგმით ოკუპირებულ საფრანგეთში, როგორც შვეიცარიული გაზეთის „დერ ბუნდის“ პარიზელი კორესპონდენტი ფრედ სიმსონი წერს — „ათასობით ამერიკული სამხედრო მანქანა დაჰქრის. ბორდოს სამხრეთით შენდება სამხედრო მასალების გიგანტური საწყობი, ხოლო ლა როშელში აგებენ საწყვავის უდიდეს საწყობს“.

იგივე ფრედ სიმსონი გვაუწყებს, რომ საფრანგეთში ამერიკელთა სამხედრო ეშელონის გადაყვანის დროს შემანქანისა და ცეცხლფარეშის გვერდით დგანან ავტომატებით შეიარაღებული „რესპუბლიკის უშიშროების რაზმის“ ჯარისკაცები. ორთქლმავლის შემდეგ მიბმულია ღია ვაგონი, რომელზეც დადგმულია ტყვიამფრქვევები. შემდეგ მიყვება სამხედრო მასლით დატვირთული ვაგონები. მატარებლის ბოლოს, ღია ვაგონზე კვლავ მოთავსებულია ჯარისკაცთა კიდევ ერთი ჯგუფი. შესაძლებელი დივერსიის თავიდან ასაცილებლად, ორი წუთის სავალზე მატარებელს წინ მოუძღვის სხვა ორთქლმავალი“...

თუ ფრანგ რეაქციონერებს დავუჯერებთ საფრანგეთ-ამერიკის „მეგობრობის“ შესახებ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ის შიში, რომელიც გამოწვეულია ფრანგი პატრიოტების წინააღმდეგობით, მხოლოდ „მეგობრული“ შიშია და მეტი არაფერი!

შეიარაღება და აჯანყებულება

ამას წინათ ტრუმენმა მერილენდის შტატში სიტყვა წარმოთქვა, სადაც იძულებული იყო აღეარებინა, რომ ამჟამად ამერიკაში 15 მილიონი კაცია ქრონიკული სენით დაავადებული, ხოლო სიკვდილიანობა 1940 წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა. ტრუმენმა ავადმყოფობის გამომწვევი უამრავი მიზეზი დაასახელა, მაგრამ მას ერთი, ყველაზე მთავარი მიზეზთაგანი გამოორჩა. პრეზიდენტს სიტყვის წარმოთქმისას რომ გაეხსენებინა ის მილიარდი დოლარები, რომლებიც შტატებში ახალი ომის გაჩაღების მზადებისათვის იხარჯება, მაშინ ამერიკის ხალხისათვის ყველაფერი ნათელი გახდებოდა.

ნიანბი სპეკრაქო პირთველებთან

მათი საკუთრი წინ

თბილისის კიროვის სახელობის დაზღაომუნებელი ქარხნის პარტკომის მდივნის კაბინეტში შევედით. თვალი კედელზე გაკრულ მოწინავე კომუნისტების სიაზე შეჩერდა. პირველ გრაფაზე გვარების გვერდით მათი წლოვანება აღნიშნული. ასე ეწერა:

- ა. ბენდიანიშვილი — 18 წლ.
- ივ. ფირცხალავა — 16 წლ.
- პ. ტენიშვილი — 18 წლ.
- ტ. ვლოვინა — 20 წლ.
- ფ. ზიდჩენკო — 20 წლ.
- ა. ავაჯანოვი — 13 წლ. და 5 თვ. და ა. შ...

— რა ახალგაზრდა, კომკავშირული ასაკის კომუნისტები ჰყოლიათ კიროველებსო!.. — გავიფიქრეთ.

განსაკუთრებით 13 წლისა და 5 თვის ა. ავაჯანოვმა გავაკვირვა. შევეკითხეთ მათ შესახებ ჩვენს მეგობარს, პარტკომის მდივანს ამხ. კ. გოგლიძეს და აღმოჩნდა, რომ გვარების გვერდით ჩამოთვლილი წლები მათი წლოვანების აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ მათ მიერ გემის შესრულების მაჩვენებელია. თურმე ტ. ვლოვინა უკვე 1970 წლის გემზე მუშაობს, ხოლო ა. ბენდიანიშვილი—1968 წლისაზე. მოწინავე კიროველებმა თუკი ასეთი ტემპით იმუშავეს, მაშინ ისინი ათი წლის შემდეგ ერთი საუკუნით გაუსწრებენ წინ ჩვეულებრივი ნაბიჯით მოსიარულე ამხანაგებს!.. რაც უთუოდ მისალოცია!

მაგრამ...

მაგრამ კიროვის სახელობის ქარხანას ყველაფერი წესრიგში როდი აქვს. იგი, რა თქმა უნდა, თბილისის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მაგრამ... (კიდევ მაგრამ) კიროვის ქარხანას მრავალი წვრილმანი აქვს ჯერ კიდევ მოუგვარებელი

ორგანიზაციული მართვა

გული შეხარის კიროველთა დაზღვევს, რომლებიც სისუფთავით ქათქათებენ, პრიალებენ. ქარხნის სამაქრობში ღამეც ისეთი ნათელია, როგორც შუადღე. მაგრამ დაბინდებისას თუ შეიხედავთ მათ ახლადშენებულ საერთო საცხოვრებელში, იქ ხშირად წყვილია დაინახავთ (თუკი შეიძლება წყვილია დაინახვა). ხან ბუხჩალტერს დაავიწყდება ფულის ჩარიცხვა და თელასი რამდენიმე დღით სინათლეს გამოართავს ხოლმე, ხანაც, ელექტროაღმრისხველის უქონლობის გამო, მობინადრეები ჩხუბობენ და კვლავ თელასი აზავებს მოჩხუბრებს სინათლის გამოთიშვით.

მანქანული სანოქვე

სინათლის გარდა, საერთო საცხოვრებელს საჭირო ინვენტარიც აკლია. არა აქვთ საკმაო რაოდენობით კარაღები, სკამები, მაგიდები. ძილის წინ ბინადარნი თავიანთ-ტანსაცმელს საწოლქვეშ, იატაკზე აწყობენ. ნეტავი რას იზამდა ქარხნის ადმინისტრაცია, რომ საამქროს უფროსადაც ისეთი მუშაკი ჰყოლოდა, როგორც სახლმმართველი ამხ. მ. გობოზოვია!..

ნაუკუნი აბანო. როგორც ჯერ არაბის უნახავს

ქარხანას თავისი აბანო ჰქონდა. უკვე ერთ წელზე მეტა მისი რემონტი ქიანურდება. ადმინისტრაცია კი სიამაყით აქებს თავის აბანოს, რომლითაც ჯერ აქ არავის უსარგებლია (მის გახსნაზე ჩვენც მოგვიწვია). დღესდღეობით კი ამ სიციხეში, თავდადებული შრომის შემდეგ, მუშები აბანოს კარდაკარ დაეძებენ...

საკმლის საკვანე...

საკმლის სუნი გვეცა. შესვენება იყო და ქარხნის სასადილოსთან რიგი იდგა. დაზღვებთან წესრიგს შეჩვეული მუშები ღელავდნენ. ისინი კი, ვისაც მოესწროთ საკმლის გამოტანა, დანა-ჩანგალს ამაოდ მოითხოვდნენ, წყალს ონკანიდან პეშვით სვამდნენ. მაშ რა უნდა ექნათ, სამუშაოზე აგვიანდებოდათ. სასადილოს გამგე ი. ჯაფარიძე კი დამშვიდებული შეჰყურებდა ამ სანახაობას, ალბათ ფიქრობდა, ასეთი უთავობა აქამდე თუ შემჩნა, შემდეგშიაც შემჩნება, რა ვუყოთ სასადილოს თუ არც ქიქა გააჩნია არც დანა-ჩანგალი.

გარემოწინა და გარემოწინა...

მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის ტერიტორიაზე მშენიერი საფეხბურთო სტადიონია, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სპორტული სექციები მაინც საღათას ძილს მისცემიან. ამას წინათ ჩატარებულ თბილისის საქარხნო-საფაბრიკო სპარტაკიადზე კიროველებმა სპორტის ყველა სახეებში ერთი და იგივე ახალგაზრდები გამოიყვანეს. კალათბურთის შეხვედრა რომ დამთავრდებოდა, თამაშის მონაწილენი გზაზე იცვლიდნენ მისიურებსა და ტრუსებს და ახლა ფრენბურთელებად გვევლინებოდნენ. ფრენბურთის მოედნიდან წყალში საცურაოდ გარბოდნენ. წყალში შეჯიბრებისას ცოტათი გაგრილდებოდნენ და ქადრაკს ჩაუჯდებოდნენ. ქადრაკის დაფასთან ფიზიკურად შეისვენებდნენ და იქიდან ფეხბურთის მოედანზე მიეშურებოდნენ. ამის შემდეგ განა ვასაკვირი არ არის, რომ კიროველები სპარტაკიადზე მაინცდამაინც დიდად არ შერცხვნენ!?

სამინათლო რეკონსტრუქცია

ქარხნის კედლის გაზეთ „კიროველის“ უკანასკნელ ნომერში რედკოლეგიის ნიანგის კუთხე გაუქვთებია. მხატვარს ასეთი სურათი დაუხატავს: სკამზე ზის ნიანგი, ხოლო რედკოლეგიის წევრები მისი ხილვით ისე შეშინებულან, რომ ზოგი კარადის თავზე შემხტარა, ზოგი მაგიდის ქვემოთ შემძვრალა, ერთი კი ხალათით ელექტროკაბზე ჩამოკიდებულა. ერთი სიტყვით, ძალიან შეუშინებია რედკოლეგია ნიანგის გამოჩენას... მაგრამ საშიში არც ნიანგია, ამხანაგებო, და არც ასეთი წვრილმანი დანაკლისები! საჭიროა მხოლოდ რედკოლეგიის წევრები მიღწევების აღნიშვნასთან ერთად ენერგიულად იბრძოდნენ ქარხანაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კიროვის სახელობის ქარხანას ასეთი უსიამოვნო ამბები სულ ადვილად შეუძლია თავიდან აიცილოს.

მატივისცემით ნიანგისებო

186
18/12/51

1970 წ.



ქსნის ერისთავი თომა სიმონის-ძე კლანდაძე



თომა სიმონის-ძე ერთი შეხედვით ქსნის ერისთავებს სრულიად არა ჰგავს, ერისთავთა მკაცრ სახეებს თავადური უღვაშები მაინც ამშვენებდა, თომა სიმონის-ძე კი ვაჟკაცობას ვერ დაიჩემებს და ვერც უღვაშებზე გადაისვამს ხელს სინდის-ნამუსი რომ დაიფიცოს, — გაპარსულია...

თომა სიმონის-ძე კლანდაძე ქსნის ერისთავი გახლავთ მაინც, — თავისი ყოფით, საქციელთ, თვითდაჯერებით. მის ამბავს რომ გაიგებთ, იგრძნობთ რომ, როგორც ტიპი, იგი კალმის ერთი მოსმით დახატულია.

თომა ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორი გახლავთ.

ჯერ მეორე წელიწადი არ შესრულებია ამ თანამდებობაზე. მაგრამ უკვე მოასწრო და ქარხნის თანხებით შეძენილი კარ-მიდამო თავის მამულად გამოაცხადა. დასახლდა იქ და ხილით სავსე ბალი ქარხნის მუშებს ძეძვით შემოალობინა. კიშკართან ყოველ შემთხვევისათვის ძალღიჯ დააბა და ელექტროგანათებისათვის სპეციალური ხაზიც გაიყვანა — “ბალი თუ არ გავანათე, ხილს მომპარავენო”. — მართლაც, მაშინ, როდესაც მისივე ბრძანებით ირგვლივ სინათლე გამოთიშულია და მუშამოსამსახურენი ბნელში სხედან, თომას ბალი ზღაპრულ ნაძვის ხეს მოგავონებთ, სანთლებით უხვად აციმციმებულს.

თომას უმეტესად შინ ყოფნა ჰყვარებია, მხარ-თეძოზე წამოწოლა, და, როგორც აქ ამბობენ, იგი თავის “შტაბ-კანტორიდან”, ე. ი. თავის ბინიდან ხელმძღვანელობს ქარხანას ოპერატიულად (!). როგორც წესი მუდამ ღვინით შეზარხოშებულია და თუ ქარხანას ერთი წუთით მოევიდნა, ვაი მას ვისაც აითვალწუნებს, “რევოლვერზე” ხელს გაიკრავს და დაიღრიალებს: “აქვე გაგათართხალებო”.

ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს კინალამ იმსხვერპლა ქალაქმშენის სამუშაოთა მწარმოებელი გიორგობიანი (ამ ამბის დამსწრე ხალხი ჯერ კიდევ ცოცხალია), შემდეგ რისხვად მოევიდნა მუშების საერთო საცხოვრებელს და ლამის დარაჯი სონი ალი-ოლლი ცემით სასიკვდილოდ მოაქცია... ამ აღმაშფოთებელი ხულიგნობის გამო შეადგინეს აქტი 16 კაცის ხელისმოწერით, მაგრამ ეს აქტი თვით გიორგობიანმა შემდეგ სად გააქრო არავინ იცის.

“ქსნის ერისთავის” გაროზ გულს მხოლოდ ღვინო და აყალმაყალი როდი ჰყოფნის, მას ტურფა ქალთა ალერსიც

სურს და ვინაიდან ზელი შორს ვერ მიუწვდება, მისივე თანამშრომელი ქალის მორჩილებით და სიყვარულით კმაყოფილდება (სახელს და გვარს საქვეყნოდ ნუ გავხდით, ისიც საკმაოა მუშა-მოსამსახურეებმა რომ იციან). ერთი სიტყვით, როგორც “კულტურულ” და მადაგახსნილ მებატონეს, ათასი რამ სჭირდება ამქვეყნად და ამ ათასს ქარხნის ათასებით იკმაყოფილებს. ასე, მაგალითად, ქარხნის მთელი ბიბლიოთეკა და ჟურნალ-გაზეთები თავის ბინაზე გადაიტანა (უთუოდ ბინის დასამშვენებლად, თორემ წიგნის წასაკითხად აბა, სად სცალია!). სანადიროდ ყოველ შაბათ-კვირას ქარხნის მანქანებით დაბრძანდება. ამავე მანქანებს იყენებს საკუთარი ბიუჯეტის გასამდიდრებლად, — შოფრებთან შეთანხმებით ორი საბარგო მანქანა “ხალტურაზე” დაუდის.

ქსნის ერისთავის ბიუჯეტის შთავარ წყაროს მაინც ქსნის აგური და კრამიტი წარმოადგენს, მას ამ საქმეში მოხერხებულად ეხმარება “ჟილსნაბის” ექსპედიტორი კვიტაიშვილი, მას როგორც მაკლერს მოჰყავს ქარხნის დირექტორთან განცხადებებით და რეზოლუციებით გამზადებული “კლიენტები”. დირექტორი, ე. ი. თომა სიმონის-ძე აწერს განცხადებას: “ბუხ! გაეციო!” და კრამიტის ღირებულება ყოველ 1000 ცალზე 550 მანეთი პატიოსნად შეაქვთ სალაროში, ხოლო კრამიტი კი

იქვე, ქარხნის ეზოში ფაქტიურად იყიდება 1500 მანეთად.., და თომა სიმონის-ძე იმდენად კმაყოფილი, იმდენად თავბრუდახვეულია ამ აწყობილი საქმიანობით, რომ საჯაროდ ხუმრობს კადეც: “ისე ვაკეთებ, ამ საქმეს წყალი არ გაუვაო”.

თომა კლანდაძეს გული მაგრად აქვს, როგორც თვითონ ანობს, იმედი აქვს იმ მფარველისა, ვინც ამ ადგილზე იგი დანიშნა. მაგრამ დრო დადგება და თვით თომას შეუდგება წყალი...

ქსნის ერისთავი უსათუოდ დაჰკარგავს თავის საერისთავოს! ვშიშობთ მხოლოდ, პასუხისგებას იოლად არ დაუძვრეს და სადმე ისევ არ მოგვევლინოს ერისთავად.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ზოგიერთი პიროვნება, ძალის კულის არ იყოს, მხოლოდ საყვედურით, მითითებით და დატუქსვით ვერ გასწორდება!..

იბაშრი

მცხეთის რაიონულ გაზეთში „კომუნის გზით“ (1951 წ. № 22) მოთავსებულია საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორის გენადი მიხელიძის წერილი ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესახებ. წერილში ასეთ „მარგალიტებს“ ვხვდებით: „ილია დღესაც ცოცხლობს თავის უკუდავ ნაწარმოებებში, იგი ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო როგორც ისტორიული ძეგლი, არამედ როგორც ცოცხალი კულტურული ღირებულება“.

იმვე წერილში ვკითხულობთ: „ამავე ოთახშია გამოფენილი ილია ჭავჭავაძის ილუსტრაციები „გლახის ნაამბობიდან“, „ოთარაანთ ქვრივიდან“, „მგზავრის წერილებიდან“ და სხვა ნაწარმოებებიდან“.

აქვე: „მკითხველს თვალწინ ეშლება ილიას მოღვაწეობის აქტიური-გაზეთებში“... და სხვა უპასუხისმგებლო გამოთქმები, რომლის ჩამოთვლა უხერხულადაც კი მიგვაჩნია“.

დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე რომ ილუსტრაციების მხატვარი არ ყოფილა, ეს არავისთვის საეჭვო არ არის. საეჭვოა მხოლოდ ის, რომ აღნიშნული გაზეთის რედაქტორი ან. ს. გორთამაშვილი ასეთი „მოღვაწეობით“ შორს წავიდეს.

რომელი მუხლით?

ჩვენს ხელთ არის თბილისის სტალინის რაიონის მე-9 უბნის სახალხო სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენის ასლი, რომლის დედანთან სისწორეს ბეჭდის დასმითა და ხელის მოწერით ადასტურებს სახ. მოსამართლე რეხვიაშვილი და მდივანი ახალაძე.

მოგვყავს ერთი ადგილი აღნიშნულ განაჩენიდან:

„მანქანების დაჯახება, რომ მოხდა შოფრების შადურის მიკირტუმოვის უწესო მსვლელობის შედეგად ფაქტია და დადგენილია. აგრეთვე გამოირკვა: რომ ორივე ბრალდებულს ავტომანქანები მიყავდათ ნორმაზე მომეტებული სისწრაფით ეს იქიდან მტკიცდება, რომ შადურს ავტო მანქანა მიყავდა მარჯანიშვილის ქუჩაზე იგი მოვალე იყო გზაჯვარედინთან მისვლის ადგილზე ნელ მსვლელობით წაეყვანოს ავტომანქანა და დაკვირვებით გაეცლოს გზაჯვარედინის გზა, რომ იგი სათანადოდ ფრთხილად ყოფილიყოს ავტო მანქანას შეაჩერებდა და გადაიყვანდა მეორე ქუჩის მიმართულებით, ვინაიდან იგი მიდიოდა მარჯანიშვილის პირველ ხარისხიან ქუჩაზე და მას გზა გახსნილი ქონდა, შეეძლო სვლა გაეგრძელებინა თუ კი მოსახერხებელი იქნებოდა“...

სახ. მოსამართლემ ან. რეხვიაშვილმა ბრალდებულებს მიკირტუმოვსა და შადურს ს. ს. კ. 58 — 17 მუხ. „გ“ პუნქტის 1 ნაწილის მიხედვით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა თვითუფლებს 18 თვით. მაგრამ ქართულ ენას რომელი კანონის რომელი მუხლის რომელი პუნქტით ამახინჯებს, ეს ჩვენთვის გაურკვეველია.



ნან. ი. ქიქიაშვილისა

კოლმეურნეობის თავმჯდომარე- თაული და უზგარი

კაცი გამრჯე და მშრომელი
სად იყო რომ არ დაფასდა?!
ზარმაცი თავს ვერ ამართავს
მოწინავეთა დაფასთან.
თუმც ტკბილი თაფლით სავსეა
საფუტკრე მრავალკარება. —
კაცი უცხო და უცნობი
ახლო ვერ მიეკარება!
ფუტკარს ვინც გულით უვლიდა,
მან თაფლიც უხვად აიღო,
მშრომელებს შორის საერთო
ღოვლათი ძმურად გაიყო.

თაფლის ალება უშრომლად
სურდა ერთ თავმჯდომარესა,
წლის ბოლოს მარჯვედ მოვიდა,
მაგრამ ბედს შეხვდა მწარესა!
დასიებული რომ ვნახე,
ვერ გავამტყუნე ფუტკარი,
ვერც მოვეფერე დაკბენილს,
ვერც სამძიმარი ვუთხარი.

გოგოთურ მიგრიაული

პროფესიის მოყვარული

ბაზრისკენ მიშავალი ივლიტა ივლიანეს ასული ის-ის იყო ტრო-
ლებუსიდან ჩამოსვლას აპირებდა. რომ მოულოდნელად მისთვის საინ-
ტერესო სიტყვებს მოჰქრა ყური:

— ვიტამინ „ც“ უებარი წამალია ჩემი ლიანას განკურნებისთვის...
და წარმოგიდგენია, ვერსად ვიშოვე! — სასოწარკვეთილი ტონით მიმარ-
თავდა ერთი მაღალი მანდილოსანი თანამოსაუბრეს, რომელიც ტყავის
სახელურზე საფრთხობელსავით ჩამოკიდებულიყო და გაცხებით იზი-
არებდა ამ მწუხარებას.

— როგორ? დავიჯერო, ვერსად იშოვე? ბოლოს და ბოლოს ერთი
ნაცნობი მაინც არა გყავს ამოდენა ქალაქში?

ივლიტას ირონიულად გაღღიმა, როცა საბოლოოდ გადმოდგა ფეხი
ქვეფენილზე. ტროლებუსი მძიმედ დაიძრა და ის ორი მანდილოსანიც
თან გაიყოლია.

— ჰმ, მართლაც წარმოუდგენელი ამბავია. — ფიქრობდა ივლიტა, —
იმ ქალს ვიტამინ „ც“ ვერ უშოვია ქალაქში. მე რომ ვიყო, ვიტამინს კი
არა, თუ გინდათ, დღესვე ოც ბილეთს ვიშოვი ქაბუჯიანის კონცერტზე.
ან თუ გნებავთ, უცხო ენების ინსტიტუტში ოც გოგონას ერთად მოვაწ-
ყობ. იმას კი ვიტამინ „ც“ ვერ უშოვია. არა, ნუთუ მართლა ვერ იშო-
ვა! — აეკვიტა ეს აზრი და მანამ არ მოისვენა, სანამ არ გადასწყვიტა
დღესვე ეშოვა ვიტამინ „ც“. — მოკვდები, დღესვე ვიშოვი. ამ ქალის
ჯიბრით...

სიტყვა და საქმე ერთი იყო. ბაზრისკენ აღებული გეზი პოლიცი-
ნიკისაკენ მიბრუნდა.

— ვიტამინ „ც“-ს რეცეპტი უნდა დამიწერო, ჩემო ვახტანგი, —
მიმართა ნაცნობ, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, რომელიც პირდაღებული
პაციენტის ხახაში საქმიანად იყურებოდა და თან ორივე ყბით ილუქ-
მებოდა.

ივლიტას მოულოდნელად გამოცხადებამ ვახტანგის თვლები გაუ-
ფართოვა, მაგრამ ჰამა მაინც არ შეუწყვეტია.

— რას მივაწეროთ თქვენი გამოცხადება, ქალბატონო ივლიტა. რა
გაწუხებთ? — პროფესიული მზრუნველობით შეეკითხა ფეხბურთის მოყ-
ვარული, ბურთივით მრგვალი ექიმი და პირდაღებულ პაციენტს ზურგი
შეაქცია.

— კუქი! — საქმლის დანახვაზე ინსტინქტურად წამოიძახა ივლიტამ
და ახლა გაახსენდა, რომ უსადილოდ რჩებოდა ოჯახი.

— ეგ ადვილი სამსახურია, კუქი მე არ შეხება, მაგრამ მაინც
ზეპირად ვიცი რეცეპტი, რომელშიც ვიტამინ „ც“ შედის ექიმმა ყველა
რეცეპტი უნდა იცოდეს. ვინ იცის სად დაგვირდება. — ახალმთვარესა-
ვით გაიღიმა ყელ-ყურ-ცხვირის ექიმმა და კოტიტა თითების სწრაფი
მძძარობით რეცეპტი გამოაცხა. Fructus cinosbadi მიაწერა ლათინურად.
ნახევარ საათში ივლიტა ივლიანეს ასული ხეტყეფიხის დამზადე-
ბის ტრესტში გაჩნდა.

— შენ შემოგველე, ჩემო შალიკო, უნდა მიშველო. აფთიაქში გეს-
ყოლება ვინმე ნაცნობი! — კაბინეტის კარებიდანვე მიაძახა ტრესტის
მმართველს, რომელიც ის-ის იყო თათბირის დაწყებას აპირებდა.

მისმა შალიკომ მსუქანი კისერი მოიფხანა და დაფიქრებული კა-
ცის პოზა მიიღო.

— მართალი გითხრა მე არავის ვიცნობ, მაგრამ ისეთ კაცთან
გაგაგზავნი, რომ იმას აუცილებლად ეყოლება ვინმე თავისიანი...

და შალიკოს ტენდიანი „პობედა“ ივლიტას უკვე წყალკანალ-
ტრესტის სამმართველოს მთავარ ბუხპალტრისკენ მიაქანებდა ცისფე-
რი ბარათით, რომელზედაც შალიკოს საკუთარი ხელით ეწერა „ძამიკო
ქიქიკოს“.

— შალიკოს ამაზე რავე ვეტყვი უარს! — თავმომწონედ წამოიძახა
საკმაოდ მოზრდილი ცხვირის პატრონმა ბუხპალტერმა და ხელმოსაწე-
რად გამზადებული ქაღალდები გვერდზე გადასდო. — ამ წუთში დაგა-
კავშირებთ ერთ ძმაკაცთან. — ყურმილი აიღო და საჭირო ნომრები
აკრიფა.

— ბიჭო, ვარლამ, ახლა შენთან მოვა ერთი ლამაზი მანდილოსანი
და, თუ ძმა ხარ, დაეხმარე. ხო... ხო!.. — ბუხპალტერმა მრავალმნიშ-
ვნელოვნად აპხედა ივლიტას, რომელიც საჭიროებისამებრ გაიპრანჭა,

— აა, იმ საქმის ნუ გეშინია. ოღონდ ეს საქმე გამიკეთე და მე იმას
აუცილებლად მოვაკვარახებინებ. ჰო, ჰო, ნახვამდის. — მილი დაჰკიდა
და ივლიტას მიუბრუნდა.

— თქვენ მიბრძანდებით საწვრილმანო მომარაგებათა დამზადების
კავშირში. ვარლამს იკითხავთ, მიგასწავლიან, ის ყველაფერს გიშოვით.
ქიქიკომ ივლიტა ივლიანეს ასული მანქანამდე ჩააცილა და ხელზე
მოწიწებით ეამბოროა.

დიდი ძენის შემდეგ ძლივს იპოვა წვრილმანმომარაგებათა დამ-
ზადების კავშირი.

ვარლამი იკითხა.
მიასწავლეს.

კაბინეტის პატრონი, ლოყებჩამოკიდებული კაცი, ძველი ნაცნობი-
ვით შეეგება ივლიტას.

— დიდი სიამოვნებით, ქალბატონო, დიდი სიამოვნებით. ამ
პატარა საქმეზე როგორ დაგზარდებით! — გაცნობისთანავე მიმართა
ვარლამმა. — ჩემი ბიძაშვილის სიმამრი აფთიაქის გამგეა, ახლავე ბარათს
დაგიწერო.

ივლიტა სიხარულით ცას ეწია, როცა ბარათი ჩამოართვა. ლამა-
ზად დაკეცილ კონვერტზე აფთიაქის გამგის გვარი და სახელი ეწერა
გაკრული ხელით.

როგორც იქნა იმ აფთიაქსაც მიავნო და კაბინეტის კარი გახელუ-
ლად შეაღო.

— შეიძლება? — მოკრძალებულად იკითხა ოთახში შესულმა და
კარები ფრთხილად მიიხურა.

თეთრთმინამა, სიმპათიური სახის პატრონმა კაცმა კითხვას თავი
მიანება და შემოსულს აპხედა:

— მობრძანდით, მობრძანდით!
— თქვენ ბრძანდებით დირექტორი?
— დიახ. დაბრძანდით.

ივლიტა სკამის ბოლოზე დამნაშავესავით მოთავსდა და კონვერტი
შორიდან გაუწოდა.

— თქვენ თუ მიშველით, ბატონო, თორემ ვიღუპები. — ნაშვლილი
ავადმყოფის ტონით მიმართა ივლიტამ.

— რეცეპტი გაქვთ?
— კი ბატონო, როგორ არა. — და ივლიტამ რეცეპტს დაუწყო
ძებნა.

— მიბრძანდით, რამდენიც გნებავთ წაიღეთ. ხუთი პარკი გეყო-
ფათ? — გაღიმიებული სახით იკითხა გამგემ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია. — მიაყოლა გახარებულმა ივ-
ლიტამ და მადლობაც არ გადაუხდია, ისე გამოვიდა გარეთ.

— გენაცვალე, მე ახლა დირექტორთან ვიყავი. ვიტამინ „ც“ მინ-
და, ხუთი პარკი უნდა მომცეთ.

აფთიაქარმა რეცეპტი ჩამოართვა და გაკვირვებისგან მხრები
აიჩეჩა.

ივლიტას ის ქალი გაახსენდა ვიტამინ „ც“ რომ ვერ იშოვა. ნეტა
ახლა აქ იყოს, ჯიბრით გასკდებოდა.

— ინებეთ, — გააწყვეტინა ფიქრი აფთიაქარმა.
ივლიტამ მოწიწებით ჩამოართვა პარკები და სასურსათო ჩანთაში
სათუთად ჩაალაგა.

უკვე საღამოს 7 საათი იყო, როცა ივლიტა შინ მივიდა.
ბავშვები, რომლებიც ცარიელ მაგიდას უსხდნენ, დედის დანახვაზე
მშვიერი ბარტყებივით წამოიშალნენ.

ქმარს-მოღუშული წარბები არც კი გაუხსნია, ისე გადმოხედა ბავ-
შეებით გარშემოხვეულ მუღლეს და გახეთის კითხვა განაგრძო.

— რას მიბღვერი, შე კაცო. ტყუილად ხომ არ დავსეირნობდი.
შენ ხომ არ გგონია მინდორში ყრია ვიტამინ „ც“!

ჩანთიდან ამოლაგებული პარკები ბავშვებმა დაიტაცეს და იქვე
გაფხრიწყეს. მაგიდაზე ჩვეულებრივი ასკილის მარცვლები დაცვივდა.

გ. შიკისალაშა



კონკურსი
ნიანგისთვის

ნიანგის დაუა


მთაწმინდაზე, კულტურისა და დასვენების პარკში „ნიანგის“ დაუა მოუწყვიათ... გაიგო ნიანგმა და გადასწყვიტა გულმხურვალედ მისალმებოდა თანამებრძოლთ... მაგრამ გული შეუღონდა როცა ნახა, რომ ეს დაუა ძველთაძველი კარიკატურებით ართობს მაყურებელს და ახალ ამბად აცნობს შარშანწინდელ ამბებს...

წელს კი დირექციის არც შეუხედავს, რომელი კარიკატურა წაიღო ქარმა და რომელი დასტოვა. ნიანგი ის-ის იყო ჩანგლით უნდა გამოდგომოდა დამნაშავეს (ისე როგორც ეს დაუაზე გამოხატული), მაგრამ თავი შეიკავა, რადგან იცის, რომ დაუაზე გაკრული ცილინდროსანი მაინც სხვაა, რაც არ უნდა იყოს, და კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი კი სულ სხვა...



ორჯონიძის სახელობის კლგარისა და დასვენების პარკი

ნან. დონისა



როცა ღვინი მჭებარია,



მტკვარში თევზსაც უხარია.

კონკურსი

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია აგრძელებს საუკეთესო სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსის ვადას:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მწერლებს და „ნიანგის“ ყველა მკითხველს.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს:

სატირული და იუმორისტული მოთხრობები, პამფლეტები და ფელეტონები (დაწერილი პროზად ან ლექსად) საშინაო და საერთაშორისო აქტუალურ თემებზე.

საუკეთესო ნაწარმოებზე გაიცემა პრემიები:

პირველი პრემია

2000 მანეთი

ორი მორა პრემია

თითოეული 1000 მანეთი

ორი მესამე პრემია

თითოეული 500 მანეთი

ამას გარდა გაიცემა ორი პრემია — თითო 500 მანეთის რაოდენობით კარიკატურის საუკეთესო თემისა და წარწერისათვის.

მასალები კონკურსისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: „თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას, წარწერით: „კონკურსისათვის“.

კონკურსზე წარმოდგენილი და დასაბეჭდად მოწონებული მასალები, მიღების შემდეგ, თანდათანობით გამოქვეყნდება ჟურნალ „ნიანგში“ და ავტორები მიიღებენ ჩვეულებრივ ჰონორარს.

კონკურსის ეიური — ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.

კონკურსზე მასალების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1951 წლის 31 ოქტომბერი.

რედაქცია

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა შ ვ. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1951 წ. 20/VIII. სუამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1888. გამოც. № 15. ტირ. 15.000. უფ03677



ფრანგ მეზღვაურებს უბრძანეს წარწერა კუპრით დაეფარათ...



და მეზღვაურებმა გულმოდგინედ შეასრულეს ბრძანება...